ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №137

2024 წლის 27 ივნისი

ქ. რუსთავი

„ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის „შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა" ქვეპროგრამის (კოდი: 06 02 10) განხორციელების წესის" დამტკიცების შესახებ" ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 24 დეკემბრის №86 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის შესაბამისად, ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1

„ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ,,შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დახმარების'' ქვეპროგრამის (კოდი: 06 02 10) განხორციელების წესის'' დამტკიცების შესახებ'' ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 24 დეკემბრის №86 დადგენილების (www.matsne.gov.ge, 26/12/2018 წ., 010250050.35.160.016522) პირველი მუხლით დამტკიცებულ დანართ №1-ში შევიდეს შემდეგი სახის ცვლილება:

ა) შევიდეს ცვლილება მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტში და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა) სამედიცინო, სახელმწიფო და სხვა საზოგადოებრივ დაწესებულებებში შშმ პირების (არაუმეტეს 75 ბენეფიციარი) გამცილებლის მომსახურებით უზრუნველყოფას ყოველთვიურად 800 ლარით.".

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს 2024 წლის 1 აგვისტოდან.

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარის
მოვალეობის შემსრულებელი **ალექსანდრე ბერიძე**